ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №148

2011 წლის 25 ნოემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირის მილსადენის (ხაზობრივი ნაგებობა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2011 წლის 17 ნოემბრის №01-10/4363 წერილით ითხოვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრების უფლებით გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირის მილსადენი (ხაზობრივი ნაგებობა) შემდგომში ეფექტურად განკარგვის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი აირის მილსადენი (ხაზობრივი ნაგებობა) თანახმად დანართისა.

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე

დანართი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის
საკუთრებაში გადასაცემი ქონების ნუსხა

№	მისამართი	ობიექტის სიგრძე (მ)	მილის დიამეტრი (მმ)	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	სოფ. ხუცუბანი	517	90	20.00.135	
		68	89		
		342	76		
		74	57		
2	სოფ. ბობოყვათი	12	63	20.00.136	
		271	90		
		378	76		
3	დაბა ოჩხამური	621	63	20.00.137	
		12	89		
		712	57		
4	სოფ. ქვედა სამება	6	63	20.00.138	
		647	75		
		4	57		